# 88 წელი თქვენთან ერთად!

**88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.**

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
**ვახუშტი ბაგრატიონი**

# თერჯოლა


საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №8 {7037} 15 აპრილი 2021 წელი • www. Terjola. gov. ge


## 9 აპრილი — ჩვენი გოლგოთა და ამაღლება!

**32 წლის წინ, 1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა არმიის ნაწილებმა თბილისის ცენტრში, პარლამენტის შენობასთან შეკრებილი მომიტინგეები არნახული სისასტიკით დაარბიეს, რის შედეგადაც დაიღუპა 21 მშვიდობიანი მოქალაქე, უმეტესობა ქალები, მათ შორის სკოლის მოსწავლეები. დაიჭრა და დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოიწამლა ასობით მომიტინგე.**

1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაიწერა ტრაგედიის და ამავდროულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.

9 აპრილი არის დღე, როდესაც ყველა თაობა გაერთიანდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, ეს დღე ყოველთვის დარჩება სამშობლოს სიყვარულის, თავისუფლებისთვის ბრძოლისა და თავგანწირვის სიმბოლოდ.

მიმდინარე წლის 9 აპრილს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ამირან ვერულაშვილმა თერჯოლისა და ძევრის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული 9 აპრილის მემორიალები გვირგვინებით შეამკეს და პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

ქ. თერჯოლის მემორიალი, 9 აპრილს, ყვავილებითა და გვირგვინებით ასევე შეამკეს 9 აპრილის მიტინგის თერჯოლელმა მონაწილეებმა, მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა, რომლებმაც შემდეგ ამ დღეს მიუძღვნეს ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია ცენტრის სააქტო დარბაზში. ☞3

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

*გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა. სხდომას საკრებულოს უხუცესი წევრი, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ამირან ვერულაშვილი ხელმძღვანელობდა.*

*დეპუტატებმა ცნობად მიიღეს საკითხი საკრებულოს უხუცესი წევრის დადგენის შესახებ. ასევე, ცნობად იქნა მიღებული ნინო ჯანელიძის განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და ნოდარ ფანჩულიძის განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.*

*სხდომაზე ცნობად მიიღეს საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ დაფუძნების შესახებ.*

☞2

## ქართველ ძალოსანთა ტრიუმფი მოსკოვში!

☞3

## ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2

## თერჯოლაში იუსტიციის სახლი აშენდება

☞2

## 15 აპრილი სიყვარულის დღეა

☞5

## წინასააღდგომო დღეები— ვნების კვირა

☞8

## საქართველოს სიყვარულში გალეული წლები...



**ახლახანს, მარტ-აპრილის შესაყარზე, სულ რამდენიმე დღიან მონაკვეთში, საქართველოს მიწამ მისი ორი ღირსეული შვილი მიიბარა...**

**31 მარტს გარდაიცვალა ცნობილი ფოლკლორისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ანსამბლ „რუსთავის“ დამფუძნებელი ანზორ ერქომაიშვილი—ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად იღვწოდა ქართული ხალხური სიმღერის უმდიდრესი საგანძურის შევსება-პოპულარიზაციისათვის.**

**3 აპრილს კი გარდაიცვალა თანამედროვე ქართული მწერლობის ბურჯი და მეტრი, ჭეშმარიტად კლასიკოსი მწერალი გურამ დოჩანაშვილი—კაცი, რომელიც მხოლოდ სიყვარულით და დიდი მოკრძალებით წერდა და სწორედ ასეთივე ცხოვრებით ცხოვრობდა...**

**სამარადისო ნათელი მათ სახელებს...**

**„თერჯოლა“**



# ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

*განვლილ პერიოდში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს—ამ ორი მმართველობითი რგოლის, მათი სამსახურებისა და პირადად მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ჩართულობით რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა, რომელთა შესახებ ჩვენს წინა ნომერში უკვე ნაწილობრივ ვაცნობეთ „თერჯოლის“ მკითხველს, ნაწილის თაობაზე კი ქვემოთ მოგითხრობთ. გვერდი მომზადებულია მერიისა და საკრებულოს მიერ გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე.*

## თერჯოლაში იუსტიციის სახლი აშენდება

თერჯოლას იუსტიციის მინისტრის მოადგილე სოსო გიორგაძე ესტუმრა, რომელმაც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერთან, ლაშა გოგიაშვილთან ერთად ქ.თერჯოლაში ის ტერიტორია მოინახულა, სადაც იუსტიციის სახლის მშენებლობაა დაგეგმილი.

თერჯოლაში იუსტიციის სახლის მშენებლობა არქიტექტორ მიხეილ გიორგობიანის პროექტით განხორციელდება და ფილიალის საერთო ფართი 818 კვადრატული მეტრი იქნება. სამშენებლო პროექტი უკვე მზადაა, შერჩეულია მიწის ნაკვეთიც. იუსტიციის სახლის ფილიალი ქალაქ თერჯოლაში რუსთაველის ქ. №116-ში განთავსდება.

თერჯოლის იუსტიციის სახლში, ქორწინების მსურველი წყვილებისთვის, ქორწინების სივრცეც განთავსდება და ნებისმიერ წყვილს ექნება საშუალება ქორწინების რეგისტრაცია საზეიმო ცერემონიალის თანხლებით დაგეგმოს, დახვეწილი დიზაინის მქონე ქორწინების საგანგებო ფართზე, სადაც მათ სპეციალური საქორწინოსადღესასწაულო დეკორაციით გაფორმებული სივრცე დახვდებათ.

მშენებლობაზე ტენდერი 25 მარტს გამოცხადდა. თერჯოლის ფილიალი მეხუთე იუსტიციის სახლი იქნება, რომელიც იმერეთის რეგიონში გაიხსნება.

შეხვედრაზე ასევე, იმყოფებოდნენ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორი ავთანდილ კოხრეიძე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები.

## უსაფრთხო სააღმზრდელო გარემოში...

თერჯოლის მე-3 ბაგა-ბაღის შენობა, რომელიც 4 ძმის ქუჩაზე მდებარეობს, ხანდაზმულობის გამო დაზიანდა და გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს.

მუნიციპალიტეტის მერიამ, საბავშვო ბაღის შენობის მდგომარეობის გათვალისწინებით, სააღმზრდელო დაწესებულებისათვის ალტერნატიული ფართი გამოყო, სადაც მიმდინარეობს შენობის ადაპტირება საჭირო მოთხოვნების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი მოადგილესთან ერთად ადგილზე გაეცნო ბაღის ფუნქციონირებისათვის დამატებით საჭიროებებს და ბაღის თანამშრომლებს არსებული პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა.

**„ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვისა და თანამშრომლის ფიზიკური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნვა. მათ უნდა შევუქმნათ ისეთი გარემო, სადაც კომფორტულად იგრძნობენ თავს. შენობის დაზიანების გამო სააღმზრდელო პროცესის უსაფრთხო გარემოში წარმართვის მიზნით, ბაღის ფუნქციონირებისათვის ვიქირავეთ ალტერნატიული ფართი, სადაც განთავსდება მე-3 ბაღის კონტინგენტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მსჯელობა ძველი შენობის რეაბილიტაციის რენტაბელობაზე“**—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

## ინტელექტუალური თამაში მუნიციპალიტეტის მერთან ერთად

თერჯოლელი ახალგაზრდები ტრადიციულად, აქტიურად მონაწილეობენ ინტელექტუალურ თამაშებში.

ახლახანს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეებმა ტრადიციული ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ ამჯერად ახალი სკოლის, ახალ გარემოში ჩაატარეს.

თამაშის მიზანია, მოსწავლე ახალგაზრდობის ინტელექტუალური დონის ამაღლება, წიგნიერებისა და ცოდნის წახალისება, მათი მოტივირება და ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა, ასევე ინტელექტუალური განვითარების პროპაგანდა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი დაესწრო, მან მონაწილეობა მიიღო თამაშის პროცესში და სტუმრის სტატუსით მოაზროვნეებს კითხვა დაუსვა, სამომავლოდ კი წარმატებები უსურვა.

დასმული შეკითხვები სხვადასხვა თემატიკას მოიცავდა, რამაც მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცა, განესაზღვრათ ცოდნის ხარისხი და ეფიქრათ გარკვეული მიმართულების გაძლიერებაზე. საბოლოოდ, ანაგირიში მოაზროვნეების საწინააღმდეგოდ 5:6 დასრულდა .

ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა სიქთარვის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი ნოდარ ბუცხრიკიძე.

აღნიშნული აქტივობა გაიმართება ყოველ პარასკევს, მასში ყველა კლასის მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას.

სასწავლო წლის ბოლოს კი შემაჯამებელ თამაშში საუკეთესო გუნდი საუკეთესო მოაზროვნეს გამოავლენს, რომელსაც საჩუქრად სიმბოლური პრიზი გადაეცემა.

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

1☞

სხდომაზე დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ,,მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებასა და საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

ასევე მხარდაჭერილია საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ  და მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულება.

დეპუტატებმა ასევე მხარი დაუჭირეს საკითხს მუნიციპალიტეტის დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პრაქტიკულად გამოქვყნების წესისა და პრაქტიკულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 1 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომავალი სხდომისთვის გადაიდო ორი საკითხის განხილვა: „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

## დასრულდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფელ თუზში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

თუზის ყოვლადწმინდა სამების ტაძრისკენ მიმავალი გზის მოწყობის დასრულებული სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა პირველ მოადგილესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის პირველი ეტაპი 2020 წელს დაიწყო და 2021 წელს გზის რეაბილიტაცია მთლიანად დასრულდა.

რეაბილიტაციის ფარგლებში, 1,5 კმ გზის ზედაპირი არმირებული ბეტონის საფარით, გვერდულებითა და სანიაღვრე არხებით მოეწყო.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. გზის კეთილმოსაწყობად 547 000 ლარი დაიხარჯა.

სამშენებლო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს „მეკა”-მ შეასრულა.

თუზის საუბნო გზის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია არა მარტო ადგილობრივებისათვის, არამედ მუნიციპალიტეტისთვის. აღნიშნული გზით სოფლის მოსახლეობა ადმინისტრაციულ ცენტრს უკავშირდება.

# ქართველ ძალოსანთა ტრიუმფი მოსკოვში!

გვიხაროდეს! მოსკოვში, ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა გოლიათებმა ფურორი მოახდინეს. მამაკაცთა ძალოსანმა გუნდმა მოიპოვა 7 ოქროს, 4 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი. 1 ოქროს მედალი მოიპოვა ძალოსანმა ქალმა—ანასტასია გოტფიდმა (საერთო გუნდური მესამე ადგილი).

ჩემპიონატის აპოგეა იყო **ლაშა ტალახაძის** გამოსვლა, რომელმაც ყველა—სამივე ოქროს მედალი მოიპოვა და მისივე მსოფლიო და ევროპის რეკორდებიც გაუმჯობესა!!!

გილოცავთ!!!

# მთავრობის ადმინისტრაციის სამუშაო შეხვედრები რეგიონებში...

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლერი ბარნაბიშვილი სამუშაო შეხვედრებს მართავს ქვეყნის რეგიონებში. მორიგი გასვლითი შეხვედრა მან ამ დღეებში იმერეთის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართა.

ლერი ბარნაბიშვილმა, იმერეთში, სახელმწიფო რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან ერთად, იმერეთის მუნიციპალიტეტის მერებისა და საკრებულოების ხელმძღვანელებისგან პირადად მიიღო ინფორმაცია რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან და სხვა პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ასევე ყურადღება გამახვილდა იმერეთში არსებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თანმიმდევრულობაზე.

„ყველა საკითხი თუ პრიორიტეტი, რომელიც მუნიციპალიტეტებისთვის აქტუალურია, კიდევ ერთხელ განვიხილეთ და ვიმსჯელეთ გადაჭრის გზებზე. ცენტრალური ხელისუფლება მზად არის თქვენს მიერ დასმული საკითხები გადაწყვიტოს უმოკლეს ვადებში და ეფექტურად. ურბანული განახლების პროექტირებისას ყველა რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ინტერესები იქნება მაქსიმალურად გათვალისწინებული. თითოეული პროექტის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ადგილობრივების მოსაზრებები, განსახორციელებელი პროექტები სწორედ მათ საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული“— აღნიშნა ლერი ბარნაბიშვილმა.

სახელმწიფო რწმუნებულმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს დაავალა, დამატებით წარადგინონ წინადადებები ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესახებ. უახლოეს მომავალში დაგეგმილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტი იმერეთში, სადაც განიხილება მიმდინარე პროექტები და საჭიროებები, რომელთა დაფინანსებაც თითოეული მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია.

# 9 აპრილი — ჩვენი გოლგოთა და ამაღლება!

***1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, საბჭოთა არმიის ნაწილებმა განსაკუთრებული სისასტიკით დაარბიეს ანტისაბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაცია, რის შედეგადაც დაიღუპა 21 და დაშავდა 427 ადამიანი. 9 აპრილის მოვლენებმა წყალგამყოფის როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.***

***ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.***

***გთავაზობთ 9 აპრილის წინაპირობებისა და მომიტინგეთა დარბევის მოკლე ოფიციალურ ვერსიას.***

## წინაპირობა

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურული მაშინდელი სსრკ-ს მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობის გაღვიძების წლები იყო.

ანტისაბჭოთა მოძრაობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაში 1988 წლისთვის საგრძნობლად გააქტიურდა. თბილისში გაფიცვებსა და მიტინგებს აწყობდნენ ანტისაბჭოთა ორგანიზაციები. კონფლიქტი საბჭოთა მთავრობასა და ქართველ ნაციონალისტებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა 1989 წლის 18 მარტს აფხაზეთში, სოფელ ლიხნში კრების ჩატარების შემდეგ, სადაც აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოსგან გამოყოფა და მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვა, რომელიც აფხაზეთს 1921-1931 წლებში ჰქონდა. ამის საპასუხოდ, ანტისაბჭოთა ჯგუფებმა რესპუბლიკის მასშტაბით არასანქცირებული მიტინგების სერია მოაწყვეს. მათი მტკიცებით საბჭოთა მთავრობა აფხაზურ სეპარატიზმს იყენებდა დამოუკიდებლობის მომხრეთა მოძრაობის საწინააღმდეგოდ. 4 აპრილს დაიწყო შიმშილობა რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის კიბეებზე. საპროტესტო აქციებმა პიკს მიაღწია 5 აპრილს, როდესაც ათობით ათასი ქართველი შეუერთდა მომიტინგეებს, მათ შორის იყვნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები: მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი წერეთელი და სხვები. მომიტინგეთა მოთხოვნები იყო აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოში ნატოს ჯარების შემოყვანა. თანდათან, მოთხოვნებს შორის, აფხაზეთის საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია და ძირითად მოთხოვნად რჩებოდა დამოუკიდებლობის აღდგენა. მიტინგს უერთდებოდნენ რეგიონებიდან ჩასული მოქალაქეები. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე დედაქალაქში და ვეღარ აცხრობდა საპროტესტო აქციებს.

## დარბევა

6 აპრილიდან თბილისში იმყოფებოდა სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი კონსტანტინ კოჩეტოვი. 7 აპრილს, 21 საათზე საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა სსრკ-ის ხელმძღვანელობას დამხმარე ძალების გამოგზავნა თხოვა წესრიგის აღსადგენად. 8 აპრილის დილას გაიმართა პოლიტბიუროს სხდომა ეგორ ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით. პოლიტბიუროს სხდომას არ ესწრებოდნენ ლონდონიდან ახალდაბრუნებული ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ გორბაჩოვი. შემდგომში გორბაჩოვი ამტკიცებდა, რომ არაფერი იცოდა პოლიტბიუროს გადაწყვეტილების შესახებ. გაიცა ბრძანება რეგულარული და შინაგან საქმეთა ჯარების თბილისში გადასროლის შესახებ. ოპერაციის ხელმძღვანელებად დაინიშნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი იგორ როდიონოვი და კონსტანტინ კოჩეტოვი. როდიონოვმა ოპერაციაზე თანხმობა თავდაცვის მინისტრ იაზოვისგან მიიღო, ხოლო სკკპ ცკ-ის გადაწყვეტილებით, ოპერაციისთვის გაერთიანდა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები. თბილისში შევიდა საგანგებო დანიშნულების მოტომსროლელთა დივიზიის მე-4 პოლკი, საგანგებო დანიშნულების მილიციის რაზმები პერმიდან და ვორონეჟიდან. 8 აპრილს, 11 საათზე გამოცხადდა კომენდანტის საათი თბილისში, მაგრამ ცნობა მოსახლეობას ადგილობრივი ტელევიზიით კომენდატის საათის მოქმედების შესახებ მიეწოდა მხოლოდ 22 საათსა და 15 წუთზე. ქალაქის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა როდიონოვი. როდიონოვმა, კოჩეტოვმა და პატიაშვილმა შეიმუშავეს მიტინგის დაშლის ზოგადი გეგმა. 8 აპრილს ჩატარებულ პარტიულ სხდომაზე პატიაშვილმა უარყო კომპარტიის ზოგიერთი წევრის მოწოდებები მომიტინგეებთან მოლაპარაკებისკენ, ასევე უარი თქვა მოსკოვიდან შევარდნაძისა და გიორგი რაზუმოვსკის, რომელიც პარტიულ კადრებს განაგებდა, თბილისში ჩასვლაზე. 8 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ-ის თავდაცვის საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ როდიონოვი და კოჩეტოვი. სხდომის ჩანაწერი არ არსებობს. შეტევის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე შედგა სატელეფონო საუბარი პატიაშვილსა და როდიონოვს შორის, სადაც როდიონოვმა დაარწმუნა პატიაშვილი, რომ ოპერაცია ჩაივლიდა უსისხლოდ. 9 აპრილს გამთენიისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიმართა რუსთაველის გამზირზე მთავრობის სახლის წინ შეკრებილ მომიტინგეებს, გააფრთხილა ისინი მოსალოდნელი ძალადობის შესახებ და დაშლისკენ მოუწოდა. მომიტინგეებმა დაშლაზე უარი განაცხადეს. დილის 4 საათზე დაიწყო მიტინგის დარბევა. რუსთაველის გამზირი გადაკეტეს ლენინის მოედნიდან და ძერჟინსკის ქუჩიდან დაძრულმა რუსულმა ჯავშანტრანსპორტიორებმა და ტანკებმა. ჯარისკაცები შეიარაღებულნი იყვნენ სასანგრე ბარებით, ხელკეტებით, ცეცხლსასროლი იარაღითა და ქიმიური საშუალებებით. ქლოროპიკრინის ბაზაზე დამზადებული აირის მაღალმა კონცენტრაციამ გამოიწვია ასობით მომიტინგის მოწამვლა და მრავალი სასიკვდილო შედეგი.

**9 აპრილის ტრაგიკულმა დღემ არნახულად შეაკავშირა და გააერთიანა სრულიად საქართველო, რაც ორი წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით დასრულდა.**

**სამწუხაროდ, საქართველო 32 წლის შემდეგაც კვლავ ბრძოლაშია და კვლავ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ოკუპირებულია ტერიტორიის 20 პროცენტი, ჩვენ კი—ქართველები, ვერა და ვერ გავერთიანდით, ისე როგორც 32 წლის წინ...**

# სამშობლო არ დაგავიწყდეთ, სამშობლო უმთავრესია!

9 აპრილი, საქართველოს უახლესი ისტორიის ათვლის წერტილი, ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღია, რომელიც გულგრილს არ გვტოვებს, თარიღი, რომელიც ტიტების დანახვისთანავე საშინელ მოგონებას გვიშლის.

1989 წელს ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. აპრილის დასაწყისიდან ლექციებზე აღარ შევდიოდით, ფოიეში, ეზოში ვიკრიბებოდით, ქუჩაში გამოვდიოდით, თუმცა გული საქართველოს დედაქალაქისაკენ მიგვიწევდა, მაგრამ მშობლებზე დამოკიდებული სტუდენტი ვერ ვბედავდი, მათი ნების საწინააღმდეგო ნაბიჯი გადამედგა, შევნატროდი მათ, ვინც რუსთაველზე აპროტესტებდნენ ლიხნის მანიფესტს, ვთვლიდი ბედნიერი იყო, ვინც იქ იდგა.

დღეს ჩვენს გვერდით უჩუმრად დადიან ადამიანები, რომლებიც აპრილის დღეებში რუსთაველზე ათენ-აღამებდნენ. მათ ბევრი აქვთ გასახსენებელი. ერთ-ერთი მათგანია ქვედა სიმონეთის მკვიდრი მურად ღვინეფაძე—კაცი, რომელიც ყურადღებით უსმენს თანამედროვე პოლიტიკოსთა ეროვნული ღირებულებების შესახებ სპეკულირებას და არაფერს ამბობს...

მეგობართა წრეში გაჟღერებული მოგონებებით ბავშვობიდანვე ილია ხიბლავდა, საბჭოთა იმპერიის ხანაში ქართულ ნომრებიანი მანქანით დადიოდა, კომკავშირელი არასოდეს ყოფილა. მშენებელ-ინჟინრად მუშაობდა და ყოველთვის სჯეროდა, რომ „დადგება დრო უფროსი ძმა, უმცროსს ვეღარ უბატონებს“ (გამოყენებული ციტატები ბატონი მურადის ბიბლიოთეკაშია დაცული). აპრილის დღეებში რუსთაველზე მისი ნახვა ახლობლებისათვის ბუნებრივი იყო „ვიცოდი, აქ იქნებოდიო“—ეუბნებოდნენ შეხვედრის დროს. რუსთაველზე გაიცნო ირაკლი წერეთელი, მოეწონა მისი მებრძოლი სული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი გახდა, თუმცა მას შემდეგ რაც პარტია საქართველოს პირველ პრეზიდენტს დაუპირისპირდა, გაემიჯნა. ეროვნული მოძრაობის ტრიუმფალურ ეპოქაში მაქსიმალურად გამოიყენა შესაძლებლობანი, რის გამოც რამდენჯერმე დააპატიმრეს, გამოგონილი მიზეზებით აიძულებდნენ ხელი მოეწერა სხვის მიერ შედგენილ ე.წ. აღიარებისთვის, მაგრამ ამაოდ.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მიუხედავად უამრავი შემოთავაზებისა, არც ერთ პარტიაში აღარ შესულა. დღეს ბატონი მურადი კარ-მიდამოს დატრიალებს და როცა კითხვით მიმართავენ „ამისთვის იბრძოლე“—პასუხად გალაკტიონის კითხვები აქვს: „სამშობლო არ დაგავიწყდეს, სამშობლო უმთავრესია!“

**მაია ცერცვაძე,**
**თერჯოლის მკვიდრი**

# გოგებაშვილის „ყველა მასალა აღმზრდელობითია“, მაგრამ თვითონაც კარგი აღმზრდელია

***როცა სიტყვა ჩვენი მოზარდი თაობის აღმზრდელებზე, მათ უანგარო, თავდადებულ შრომასა და საქმიანობაზე ჩამოვარდება, არ შეიძლება განსაკუთრებული პატივისცემა არ გამოვხატო პირველ მასწავლებელზე, ადამიანზე, რომელიც ჯერ კიდევ სულ პატარას სათითაოდ გკიდებს ხელს, მერხთან მიგიყვანს, ტოლებთან დაგსვამს და დედა-ენას გადაგიშლის, გასწავლის ანბანს, გაგიხსნის გონების კარს, არ შეიძლება არ გაიხსენო ადამიანი, რომელსაც მუდამ სიამოვნებას გვრიდა და გვრის პატარების ბეჯითი სწავლა, ზრდილობიანი ყოფაქცევა... ასეთ ადამიანთა რიცხვს ბევრი ეკუთვნის, მაგრამ ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე—ეთერ თურქაძეზე გვექნება საუბარი...***

მისი შესვლა ჯგუფში სიხარულსა და ხალისს ჰმატებს პატარებს, გაკვეთილზე მთელი სისრულით ჩანს მისი პიროვნება, ცოდნა, განათლება, კულტურა, სიყვარული, რასაც მუდმივად განიცდის პატარების მიმართ...

ათეულობით ნორჩმა თაობამ, ასეულმა ბავშვმა გამოიარა მის ხელში და დღეს ვერ ნახავთ მის მიერ აღზრდილთა შორის ისეთ ადამიანს, რომელსაც განსაკუთრებული პატივისცემა არ ჰქონდეს ეთერ მასწავლებლისადმი. ჰკითხეთ მის პირველ გამოშვებას: მანანა ცერცვაძეს, მაია კლდიაშვილს, მირზა, კახა ქოჩიაშვილებს—ისინი გეტყვიან, რომ ეთერ თურქაძე მათთვის არის დედის ტოლფასი და კიდევ მეტიც, იმ გაგებით, რომ სწორედ სკოლაში, ეთერ მასწავლებლის თავდაუზოგავმა შრომამ და რუდუნებამ შეიტანა უდიდესი წვლილი, მათ პირველდაწყებით განათლებაში, რაც გახდა საფუძველი მომავალში უკეთ სწავლის, სიბეჯითის და ცხოვრების გაკვეთილების მიღებისა.

შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში გავიდა ორმოცდათხუთმეტი წელი, პროფესიისთვის არასოდეს უღალატნია, თუმცა ჰქონდა შეთავაზებები, მხოლოდ ერთჯერ, სულ რაღაც ორიოდე წელი პარტიული დავალება მისცეს, მაგრამ სკოლას და გაკვეთილებს არ შელევია. ორმოცდათხუთმეტი წელიწადია იმაღლებს ცოდნის დონეს, ქმნის საფუძველს უკეთ ასწავლიდეს. თავმდაბლობით თუ მოსდის, როცა ამბობს—ბედნიერი ვარ, ყოველთვის კარგი კლასი მყავდაო. მას არავინ ურჩევდა საუკეთესო მოსწავლეებს, ოთხი კლასის განათლებას რომ მისცემდა ერთ თაობას, მეორეს „ჩაიბარებდა“, ყველა ერთნაირად კარგი მოსწავლე ვერ იქნებოდა, მაგრამ ყველა აჰყავდა საშუალოზე მაღლა, 25-30 მოსწავლე ჰყავდა ხოლმე კლასში და უმეტესობა მაღალი აკადემიური მოსწრების იყო—დამატებითი მეცადინეობა ეთერ მასწავლებლისათვის ისეთივე სავალდებულო იყო, როგორიც ცხრილით გათვლილი გაკვეთილები, არც მარტო ცოდნის მიღება ჰქონდა მთავარ მიმართულებად. იგი ყოველთვის დიდ დროს უთმობდა სააღმზრდელო საქმიანობას, ესაუბრებოდა მოზარდებს ყველაზე მშვენიერზე, ამაღლებულზე, ძლევამოსილზე, გმირობაზე, სიყვარულსა და კეთილშობილებაზე. ყოველთვის, ჰქონდა თუ არ ჰქონდა სათანადო მატერიალური უზრუნველყოფა, იყო დიდი მისიის შემსრულებელი.

ხანგრძლივი პედაგოგიური მუშაობის მანძილზე არც ერთი გაკვეთილი არ გაუცდენია განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს საოცარი და სასიამოვნო ფაქტი ნამდვილია, სოფელ სკანდეში ცხოვრობდა და ცხოვრობს დღემდე, იქედან დადიოდა და დადის, სამგზავრო ავტობუსსაც კი არ შეეძლო დაერღვია გრაფიკი, მუდმივ „კლიენტს“ განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ, უმცროს-უფროსიც ყველა ადგილს უთმობდა და ქუდსაც უხდიდა—მასწავლებლისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა ხომ მოწიწებით ქუდის მოხდაშია განივთებული.

## გოგებაშვილი—მისი იდეალი

...წუხდა, როცა იაკობ გოგებაშვილი აღარ ისწავლებოდა, იყო წლები, როცა მისი განუმეორებელი დედაენა არ იყო გრიფირებულ სახელმძღვანელოთა შორის, როცა მწვანე შუქი აენთო სხვადასხვა ავტორებს, რომლებიც კი არ ასრულყოფებდნენ წიგნს, როგორც ამას იაკობი აკეთებდა ყოველი ახალი გამოცემისას, არამედ სწავლების მეთოდებს ცვლიდნენ და არწივს, აკვარიუმს და აქლემს უთმობდნენ უსაყვარლესი წიგნის პირველ გვერდებს. ეთერ მასწავლებელი თავის შეხედულებებს ადგა ყოველთვის, მისი იდეალი ყოველთვის იაკობ გოგებაშვილი იყო, მას უყვარდა წიგნი, რომელსაც არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს და რომელიც მსოფლიო საანბანე სახელმძღვანელოთა შორის პირველ ადგილზეა... ასე გადიოდა წლები, მერე პენსიაზე გავიდა, მაგრამ ვერ შეელიენ. ისევ მოიხმეს და ამჯერად მშობლებმაც, ახლა კერძო სკოლა „მზეკაბანშია“, პირველი კლასი ჰყავს და იაკობ გოგებაშვილის დედაენით ასწავლის, კლასში 9 მოსწავლე ჰყას და იმდენს მუშაობს ინდივიდუალურად, როგორც არასდროს, იაკობ გოგებაშვილში ყველა მასალა აღმზრდელობითია, პატრიოტული და ცხოვრების შემსწავლელიო—ამბობს ქალბატონი ეთერი.

## აპრილი—სამი მნიშვნელოვანი თარიღი

დაბადებულია 3 აპრილს, ღირსეული მეუღლე, აწ გარდაცვლილი ჰამლეტ მემანიშვილიც აპრილშია დაბადებული, ქორწინების 55 წელიც აპრილში სრულდება, აპრილი ეთერ თურქაძის თვეა. სრულ ბედნიერებას—წვეთი მწარე ნაღველი უშლის ხელს, ჰამლეტი აღარ არის ცოცხალი და ახალისებს შვილი ზვიადი, შვილიშვილები ანა და დემეტრე, მოსწავლეები და რძალი ქალბატონი მზია, თბილისშიდაც კი გამორჩეული პედაგოგი.

## ნორკის ქუდი ალბათ აღარ ექნება

ვთქვით, რომ ორიოდე წელი პარტიულ სამუშაოზე იყო. რაიკომში ხშირად დადიოდა, უახლესი მოდის ნორკის ქუდი ჰქონდა, ზამთარში დაძინების წინ თუ იხდიდა. ზვიადის მოყვანას ხშირად ვთხოვდით. საკმარისი იყო გვეთქვა—დედაშენს ქუდი დაუკარგავსო, ცხარე ცრემლით ტიროდა, არ დაკარგო დედა გიხდებაო—ეტყოდა და გვქონდა სიცილი. აქვს თუ არა ნორკის ის ქუდი, არ დამიზუსტებია.

## დაგვიანება უინტერესო კითხვების გამო

ის იყო ავტოკალამი, „აჩკები“, ფოტოაპარატი და ბლოკნოტი ჩანთაში ჩავიწყვე, ოთახში უცხო კაცი შემოვიდა და გამარჯობის თქმისთანავე დაჯდა, ეტყობა დაღლილი იყო. სული რომ მოითქვა კითხვებზე გადავიდა. გაიხსენა ამ შენობაში მომუშავე ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები, სათითაოდ იკითხა, ვინ სად იყო. კერძო სკოლა „მზეკაბანში“ მივდიოდი, თერთმეტს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდებოდა იქ უნდა ვყოფილიყავი. ხუთიოდე წუთის გზა მქონდა გასავლელი, ვიფიქრე ღონისძიება 11 საათამდე არ დაიწყებათქვა, თან ხათრშიც ჩავვარდი და უინტერესო კითხვებს იძულებით ვპასუხობდი. მერე როცა, ისე სხვათაშორის მკითხა —კომისარიატი მართლა აქ გადმოდისო, წამოვდექი და წასასვლელად მოვემზადე. თვითონ წასვლას არ აპირებდა და ვკითხე—რა გნებავთთქვა, ახლა არაფერი, მალე მეუღლის გახსენებას მოვიტან და რა ეღირებაო. ახლა თუ წაბრძანდებით არაფერი თქვა და გაიხარა. ამასობაში დამაგვიანდა. რა ვიცოდი „კანტის“ დროით თუ მოხდებოდა ყველაფერი, ჩემს „უცნობს“ სხვას „შევატოვებდი“.

***ხანმოკლე შეხვედრა ჰქონია თერჯოლის მერს ბატონ ლაშას „მზეკაბანელებთან“, პედაგოგ ეთერ თურქაძისათვის დაბადების 75 წლის იუბილე მიულოცნია და უზარმაზარი თაიგულიც მიურთმევია.***

# ვაქცინაცია
## (რისკი და სარგებელი)

*საქართველოში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია „ასტრაზენეკას“ ვაქცინით დაიწყო. მის შემოტანას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, რადგან თავიდანვე იყო „ფაიზერის“ ვაქცინის შემოტანის ვარაუდი.*

*როგორც ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები და ქვეყნის მთავარი ინფექციონისტები ამბობენ, ვაქცინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის რეკომენდირებული და იმის დასტურად, რომ ვაქცინა უსაფრთხოა, იგი საქართველოს პრეზიდენტმა და სხვა ცნობილმა სახეებმა პირდაპირ ეთერში გაიკეთეს.*

*ვაქცინის რამდენიმე სახეობაა ცნობილი. მის დამზადებაზე ბევრი ქვეყანა მუშაობდა. ერთი ქვეყნის ვაქცინა, რადგან ვირუსი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, მილიარდობით ადამიანს ვერ უზრუნველყოფს, არც ვაქცინის არჩევის თავისუფლება გვექნება, მაგრამ ნებისმიერი ვაქცინა უსაფრთხო უნდა იყოს, იმდენად მაინც, რომ მისმა გაკეთებამ სიკვდილი არ გამოიწვიოს, თუ არა გვერდითი მოვლენა ყველა წამალს აქვს.*

*ტრაგედია მოხდა. სამწუხაროდ, ვაქცინაციის შემდეგ ექთანი გარდაიცვალა. მისმა გარდაცვალებამ დაბლა დასწია ვაქცინაციისადმი ნდობის ხარისხი, შიში ჩანერგა მოსახლეობაში, ახლა აუცილებელია მოსახლეობის ობიექტური ინფორმირება, დარწმუნება, რომ ვაქცინაციის გარეშე პანდემია არ დამარცხდება.*

* * *

თერჯოლაში ორი სამედიცინო კლინიკა, ერთი სასწრაფო დახმარების ცენტრი, ოცდაორი ამბულატორიაა, სულ მუნიციპალიტეტში 440 სამედიცინო დარგის მუშაკია. ვაქცინაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს, როგორც სამედიცინო დარგის მუშაკებში, ისე 65 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში.

## სიტყვა მედიკოსებს, რომლებმაც ვაქცინაცია ჩაიტარეს

**თენგიზ ჭიქაბერიძე—„თერჯოლამედის“ ექიმი, ქირურგი:** ქვეყანაში ვაქცინის შემოტანამდე მქონდა მიღებული გადაწყვეტილება და ვაქცინაცია ერთ-ერთმა პირველმა „ასტრაზენეკას“ ვაქცინით, თერჯოლის „ევექსის“ კლინიკაში ჩავიტარე. გართულება და გვერდითი მოვლენა ვაქცინაციას არ მოჰყოლია. ახლა უფრო მშვიდად ვარ, თავს დაცულად ვგრძნობ და უფრო დაცული იქნებიან პაციენტებიც. ვაქცინაციას რისკზე გაცილებით მეტი სარგებელი მოაქვს. მე მოვუწოდებ კოლეგებს, მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებიც რისკ ჯგუფს განეკუთვნებიან და ეძლევათ საშუალება პირველებმა ჩაიტარონ ვაქცინაცია, გადაარჩინონ საკუთარი თავი და სხვებიც, ხელიდან არ გაუშვან ეს შანსი, აიცრან, გვერდში დაუდგნენ ერთმანეთს და ქვეყანას.

**ვალერი ბრეგვაძე—„თერჯოლამედის“ ექიმი, კარდიოლოგი:** კოვიდ 19-მა დიდი ზიანი მიაყენა მსოფლიოს, მილიონობით ადამიანი გარდაიცვალა, უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე. ვაქცინაციაზე უარის თქმა არ იქნება გონივრული, მხოლოდ ვაქცინაცია გადაარჩენს კაცობრიობას. მე ერთ-ერთმა პირველმა გავიკეთე „ასტრაზენეკას“ ვაქცინა, გართულება არ მქონია, პირიქით, თავი უკეთესად ვიგრძენი, დაცულად ვგრძნობ თავს და ეს ძალას მმატებს. მე ვურჩევ მედიცინის მუშაკებს, მოსახლეობას არ თქვან უარი ვაქცინაციაზე, ვაქცინაცია გადარჩენის შანსია და ვისარგებლოთ, გადავარჩინოთ საკუთარი სიცოცხლე, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

**ვახტანგ კირკიტაძე—„თერჯოლამედის“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.** სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაცია ამ საუკუნეში არ დაწყებულა. სწორედ ვაქცინაციის გამოყენების მეშვეობით იქნა დამარცხებული მრავალი დაავადება. ახლა, როცა მედიცინა წინ წავიდა, საშიშროებამ უნდა მოიკლოს, საშიშროების წინაშე მაშინ ვიქნებით, თუ არ ჩავიტარებთ ვაქცინაციას.

აცრა „ასტრაზენეკას“ ვაქცინით ჩავიტარე, გართულება არ მქონია, თავს მშვენივრად ვგრძნობ, თუ გვინდა დავამარცხოთ კოვიდ-19 ,უნდა ჩავიტაროთ ვაქცინაცია, გამოცდილება თანდათან გროვდება, რაც იმედიან განწყობას ქმნის.

* * *

***ადამიანის განწყობაზე ბევრი ფაქტორი ახდენს უარყოფით გავლენას. ბევრი რამის ვართ ნატრული, მინიმალური მოთხოვნილებებიც ვერ კმაყოფილდება, მაგრამ ჯანმრთელობა ყველაზე მთავარია. კოვიდ 19-მა შეიწირა მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ბევრი თერჯოლელიც, ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები. გავუფრთხილდეთ საკუთარ თავს და სხვებს. მე არც ექიმი ვარ და ჯერჯერობით არც ვაქცინირებული, ამიტომ ვერავის ვერაფერს მოვუწოდებ, მაგრამ ხშირად ვფიქრობ და ვირწმუნე ვაქცინაციის აუცილებლობა. ძნელია მუდმივად შიშში ყოფნა. „ფაიზერის“ ვაქცინაც საქართველოშია, არჩევანი შესაძლებელია.***

**გვერდის ავტორი**

**ჟუჟუნა ცხადაძე**

# 15 აპრილი სიყვარულის დღეა

***„სად, როდის და რატომ დაიბადა სიყვარული ცნობილი არაა. საერთოდ არ არის ცნობილი, თუ სად, როდის და რატომ იბადება სიყვარული, რადგან კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ გამოჩენილა ის ადამიანი, ვინც წარმატებით დაშლის სიყვარულს შემადგენელ ნაწილებად და მის ნაწილებში გაერკვევა“.***

*ჯემალ ქარჩხაძე „ქარავანი“*



## ...ეს სიყვარულისა და ხელოვნების მსახურთა ოჯახია

თერჯოლაში, თამარ მეფის ქუჩაზე, „მეფურ“ ადგილას დგას ლამაზად ნაგები სახლი, რუდუნებით მოვლილი ეზო-გარემოთი, ღიმილითა და სილამაზით გამორჩეული ბინადრებით, ჭიშკართან გამვლელ-გამომვლელთა დასაწყურვებლად „ბაბუას წყاროთი“.

წლების წინ ეს სახლი, სიკეთით და თანამოქალაქეთა მიმართ სიყვარულით გამორჩეული ოჯახის, ბატონ გივი ბუცხრიკიძის და ქალბატონ ლილის კუთვნილება გახლდათ, ღიმილით ღვთიურ სალამს რომ აგებებდნენ ადამიანებს. მათ სამი ქალიშვილი აღზარდეს, რომელთა შორის ერთ-ერთმა ნამდვილი და წრფელი სიყვარულით ბედი და მომავალი მასზე უზომოდ შეყვარებულს, ქორეოგ-

რაფიულ ანსამბლ „იმერეთის“ ხელმძღვანელს გოჩა ჭანკვეტაძეს დაუკავშირა. ირინა, იმხანად სტუდენტი, მანამდე ანსამბლ „იმერეთის“ წევრი და გამორჩეული სოლისტი იყო.

ასე შეიქმნა ერთი ლამაზი ოჯახი თერჯოლაში...

გავიდა წლები, ირინას მშობლებმა მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლეს, მათ ფუძეზე კი ახლა ირინა და გოჩა აგრძელებენ ცხოვრებას შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად...

დღემდე დაუვიწყარია მათი ცეკვა „ქართული“, როცა ქალური კლდემამოსილება და რაინდული შემართება, სილამაზე, სიყვარული და ხელოვნება ერთად დაგოგმანებდა სცენაზე...

ეს ის შემთხვევა იყო, როცა „რასაც“ ჰყოფნიდათ, სინარნარეც და ვაჟკაცობაც, ანუ როცა სახეზე იყო ქართული გენის გაცხადება მთელი სისრულით...

ირინასა და გოჩას სიყვარულის ამბავი, თანაცხოვრების უკვე მრავალი წელიწადი და ერთად განვლილი ცხოვრების გზა არის მაგალითი იმისა, რომ ნამდვილი სიყვარული მარადიული და გაუხუნარია, რომ წლები, შვილებზე და შვილიშვილებზე საერთო საქმეზე ზრუნვა, კიდევ უფრო ადუღაბებს და მყარს ხდის ურთიერთობას, რომელსაც ვერანაირი ქარტეხილი ვერ შეარყევს. ამ სიყვარულში დაზარდეს შვილები: გიორგი და თამარი, ამ სიყვარულით ზიდეს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ცეკვის ხელოვნების მსახურის არც თუ მსუბუქი ტვირთი.

ვინ მოთვლის რამდენი თაობა, რამდენი ახალგაზრდა აზიარეს ცეკვის ხელოვნებასა და მის სიყვარულს. ძნელად თუ მოიძებნება თერჯოლაში ახალგაზრდა, რომელსაც ამ წლების მანძილზე ირინასა და გოჩას ცეკვის სკოლა არ გაევლოს, სტუდიასა თუ ანსამბლებში...

გოჩა და ირინა, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ ქართული ფოლკლორული შემოქმედება, თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე ცდილობენ ერის კულტურის, ქართული ქორეოგრაფიის ხელშეწყობასა და განვითარებას. ამ სიყვარულით ასაზრდოეს შვილებიც და ახლა ერთად ეწევიან ამ უაღრესად შრომატევად საქმიანობას, რომელიც თითოეულისაგან თავდაუზოგავ შრომას და სიყვარულს მოითხოვს...

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, გოჩა ჭანკვეტაძესა და მის ოჯახს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში; გოჩას ფასდაუდებელი, განსაკუთრებული ორგანიზატორული უნარის დამსახურებაა, რომ ანსამბლებმა „იმერეთმა“, „საპოვნელამ“ თუ „ჯეოგენმა“ თერჯოლა და მისი ხელოვნება გააცნეს არა მხოლოდ სრულიად საქართველოს, არამედ მსოფლიოს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ბალტიისპირეთის ქვეყნები, ასევე, საფრანგეთი, ესპანეთი, რუმინეთი, პორტუგალია, თურქეთი და სხვები...

მათი თავდადებით და საქმისადმი ერთგულებით იწერება ლამაზი ისტორია, რომელიც ჭანკვეტაძეების ოჯახს ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ერთ-ერთ საპატიო ადგილს მიუჩენს...

წარმოუდგენელია უბრალოდ სიყვარულის გარეშე ამდენი წელი ერთ საქმეს ემსახურებოდე... სიყვარული კი ნამდვილად იძლევა შედეგს.

შეუძლებელია ერთ საგაზეთო სტატიაში ჩამოთვალო „ფეხის ცერებზე განვლილი წლები“, საერთაშორისო კონკურსების, ფესტივალებისა თუ საგასტროლო მოგზაურობის შედეგად მოპოვებული წარმატებები, გამარჯვებები, პირველი ხარისხის დიპლომები, ლაურეატის წოდებები, ოქროსა და ვერცხლის მედლები და ა.შ. აგრეთვე საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირისაგან მინიჭებული: „ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენი“ (გოჩა), „ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის წოდება“ (ირინა) და ა.შ.

შეიძლება ითქვას სცენაზე აიდგეს ფეხი გიორგიმ და თამუნამ. მშობლების მაგალითი, საყვარელი საქმის მსახურებისა, საკმარისზე მეტი იყო მათ გზას გაჰყოლოდნენ.

### გიორგი

გიორგი ახლა ოჯახის ტრადიციებისამებრ ქორეოგრაფიულ საქმიანობას ეწევა. ამავე დროს სიმღერის სახელგანთქმული ანსამბლის „მასპინძელოს“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე) წევრი და სოლისტია. მისი სასიმღერო კარიერა 4 წლის ასაკიდან დაიწყო და უკვე საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობდა, იგი არსად არასდროს არავის უთმობდა პირველობას, არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს, მინიჭებული აქვს ესტრადის პატარა ვარსკვლავის წოდება... არაერთი პირველი ადგილი, გრან-პრი, სპეციალური პრიზი, მაყურებელთა სიმპათია თუ ფესტივალის დიპლომანტი...

დამთავრებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რაც შეეხება ქორეოგრაფიულ საქმიანობას, მისი ახალგაზრდული ენერგია, ხედვა, გემოვნება, პროფესიონალიზმი კარგად იგრძნობა ანსამბლების განახლებულ და გამდიდრებულ რეპერტუარში.

### თამარი

ანსამბლ „იმერეთის“ წამყვანი სოლისტი და სერთიფიცირებული ქორეოგრაფია, ირინას და გოჩას მეორე შვილი, თამარი. მან სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თავის მომავალ საქმიანობად ოჯახის ტრადიციის მიხედვით ქორეოგრაფია აირჩია, რომელზედაც ბავშვობიდანვე იყო შეყვარებული. ანსამბლის წარმატებას გარკვეულწილად სწორედ მისი, როგორც სოლისტის ულამაზესად შესრულებული ნომრები განსაზღვრავს. ასევე დიდი წვლილი შეაქვს ნორჩი მოცეკვავეების აღზრდის საქმეში.

გიორგის და თამარს მინიჭებული აქვთ ასევე ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის წოდება.

### ანი

უკვე შემდგარი, წარმატებული და სახელგანთქმული მოცეკვავეა თამარის 8 წლის ქალიშვილი, ჭანკვეტაძეების ოჯახის პირველი შვილიშვილი ანი. მას დედისაგან გენეტიკურად გადმოჰყვა ცეკვის ნიჭი და სიყვარული. ანი 3 წლისაც არ იყო ერთ-ერთ დიდ რაიონულ ღონისძიებაზე, უამრავი მაყურებლის წინაშე, დიდ სცენაზე ქართული ცეკვების პოპური შეასრულა და შეიძლება ითქვას აღაფრთოვანა და გააოცა მაყურებლები. მისი ვიდეო დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ინტერნეტსივრცეში. ანიმ მოღვაწეობა პაწაწინამ „ცეროდენებიდან“ დაიწყო, ცეკვავს ანსამბლებში: „საპოვნელა“ და „ჯეოგენი“, აგრეთვე ანსამბლ „იმერეთში“, სადაც არაჩვეულებრივ პარტნიორობას უწევს უფროსი თაობის წარმომადგენლებს...

### ნანა

გიორგის მეუღლე, ნანა მაკარიძე ანსამბლ „იმერეთის“ მოცეკვავეა, რომელიც ადრეული ასაკიდან ცეკვავს. ირინასა და გოჩას თვალწინ გაიარა მისმა ბავშვობამ, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა, თუმცა ანსამბლში ცეკვას ისევ განაგრძობდა. სათნო, კეთილშობილი, ულამაზესი გოგონა შემდეგ გიორგის სიყვარულად იქცა და ასე შეიქმნა კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი, ასე შეემატა კიდევ ერთი ცეკვაზე შეყვარებული გოგონა, ხელოვანთა ოჯახს. ახლა შესანიშნავი წყვილი და მთელი ოჯახი ერთად ორ ულამაზეს გოგონას ზრდის.

### ნიტა და ტასო

ნიტა 2 წლის და 8 თვისაა, ტასო 1 წლის და 7 თვის. ორი ერთნაირი ულამაზესი თოჯინა გაცილებით „დიდები“ არიან, ვიდრე მათი ასაკია, განვითარებით, აზროვნებით, მოქმედებით. პაწაწინა „სიყვარულები“ უკვე წერენ თავიანთ ისტორიას თავიანთი გამოთქმული აზრებით, ლექსებით, სიმღერებით თუ ცეკვებით...

მათ უკვე ყველაფერი იციან...

და აღარ ისმის კითხვა, ვინ იქნებიან ისინი მომავალში?

***ასეთია ძალზე მოკლე მონახაზი ოჯახის შესახებ, რომელიც სიყვარულის დღისთვის შევარჩიე. გარდა იმისა, რომ ამ ოჯახს, მის თითოეულ წევრს უსაზღვროდ უყვარს ქართული ხელოვნება, სიმღერა და ცეკვა, დიდი და ლამაზი სიყვარული შეუძლია...***

***განსაკუთრებულია მეუღლეების, მშობლებისა და შვილების, რძალ-დედამთილის, რძალ-მულის, ბიძა-ძმიშვილის, მამიდა ძმისშვილების, ბიძაშვილ-მამიდაშვილების ურთიერთსიყვარული, ზოგადად მოყვასის სიყვარული... აქ იციან, რომ უნდა უყვარდეთ... რომ სადაც სიყვარულია, იქ ბედნიერება და სიხარულია და რაც მთავარია, სადაც სიყვარულია, იქ უფალია...***

***დიახ, ეს სიყვარულის ოჯახია, სიყვარულისა და ხელოვნების მსახურთა ოჯახი, ამაზე უკეთესს ხომ ვერც ვერაფერს ინატრებს კაცი...***

მზია ცქიფურიშვილი

# ზურაბ ნემსაძის სახელობის თასზე...

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ოჯახმა, თერჯოლის საზოგადოებამ, მეგობარმა ფეხბურთელებმა მარადიულ საუფლო გზაზე გააცილეს ჯერაც ჭარმაგად მყოფი, ჯერაც საქმეს შეჭიდებული ლამაზი კაცი **ზურაბ ნემსაძე.**

ის მაღალი კლასის ფეხბურთელი იყო. შვენოდა თერჯოლის „საპოვნელას“, ლანჩხუთის „გურიას“, ეპატიჟებოდნენ ცნობილი საფეხბურთო კლუბები... მას კი გული თავის თერჯოლისკენ მოუწევდა მუდამ...

სამწვრთნელო საქმიანობასაც ეწეოდა დედაქალაქში, მშობლიურ თერჯოლაში...

თავაზიანი, ზრდილი, ღიმილიანი, საქმის უხმაუროდ მკეთებელი... ასეთად დაგვახსომა თავი და მადლობა ყველას, ვინც წილი დაიდო ზ. ნემსაძის სახელობის თასის დაარსებაში.

4 აპრილს თერჯოლის „საპოვნელას“ სტადიონი კვლავ ვნახეთ ახმიანებული, ხალისიანი, რაღაცით კარგით მოსილი...

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი, აპარატის მუშაკები, საზოგადოების წარმომადგენლები. ბატონმა ლაშამ აღნიშნა, რომ ჩვენი საერთო მიზანია ქართული ფეხბურთის მასობრიობა და პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. მან წარმატებები უსურვა აღლუმის მონაწილეთ, როგორც სპორტში, ისე მომავალ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღუთქვა მათ, რომ ზურაბ ნემსაძის ტურნირი იქნება ტრადიციული, მადლობა გადაუხადა გუნდების წარმომადგენლებს ტურნირში მონაწილეობისათვის.

ახალგაზრდებს კი მუხლის ძალა უსურვა და „ბრძოლის ველისკენ“ მოუწოდა.

სასიამოვნოა, რომ გუნდებმა გამოავლინეს კარგი მომზადება, ფეხბურთის ცოდნა და გამარჯვებისადმი ლტოლვა. ყველას ბურთის გატანა უნდოდა (რა თქმა უნდა მეკარეთა გარდა)!

თერჯოლის, ღვანკითის, ოკრიბის, მაღლაკის, სენაკის... ნორჩმა ფეხბურთელებმა (ორი ასაკობრივი ჯგუფი 2006-2007 და 2010-2011 წლებში დაბადებულნი) გამართეს ფიცხელი ორთაბრძოლები სანუკვარი პრიზების დასაუფლებლად.

საბოლოოდ ფორტუნამ თერჯოლის „საპოვნელას“ და ღვან-

☞7

# საზანოური „ნანუა“ დიდ გზებზე

***ჩვენს გაზეთში გივი ჩუბინიძეზე, ნოვატორ მევენახე-მეღვინეზე, არაერთხელ დაგვიწერია, იმსახურებს კიდეც. პირადად ხშირად მიხდება მასთან შეხვედრა და ყოველთვის რაღაც ახალს მეუბნება საქმიანობის შესახებ. ნოვატორი-თქო შემთხვევით არ მითქვამს მასზე, რადგან მუდმივად სიახლეების ძიებაშია, თავისი წვლილი შეაქვს ვაზის ჯიშების გამრავლებასა და გადარჩენაში. მისი ეზო ნამდვილად საკოლექციო ნაკვეთია, სადაც გავრცელებულ ვაზის ჯიშებთან ერთად იშვიათი და უნიკალური ჯიშებიც არის თავმოყრილი. არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ დაეძებს ქართული ვაზის ნაკვალევს და ხშირადაც აღწევს იმას, რომ მოძეული ეგზემპლარი თავისი ეზოს ბინადარი გახადოს. როგორც თავად ამბობს, უკვე 60-მდე დასახელების ვაზის ჯიში აქვს დარგულ-გახარებული.***



შესანიშნავი დახურული მარანიც აქვს ეზოში (თქვენ მას ამ სურათზე ხედავთ). რა გული გამიძლებდა არ შევსულიყავი და არ მენახა. არაერთი მარანი მაქვს ნახული, მათ შორის ნუგზარ გამყრელიძისა თერჯოლაში, თამაზ ქოჩიაშვილისა—სიქთარვაში... ასეთი ახლებურად, გემოვნებით გაფორმებული დიზაინისა, პირველად ვნახე. ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, არ გაგიკვირდეს, ჩემი წინაპრები მემარნეები იყვნენო, მეუბნება გივი. მემარნეების ამოცანა იყო მევენახეობისა და მეღვინეობის ერთობლივად მართვა. ჩემი დიდი ბაბუა სოლომონ მეორის თანამედროვე იყო, მე მეხუთე თაობა ვარ.

ისე როგორ გამომიშვებდა, მიმიპატიჟა, მოდი ახლა „ნანუა“ დავაჭაშნიკოთო. ნანუა თუ ნუნუა-მეთქი, იმერეთში ღვინოს ხომ მოფერებით ოდითგან ნუნუას უწოდებენ. სწორედაც რომ „ნანუაო“ და იქვე ამიხსნა, როგორც უკვე გითხარი ჩემი წინაპრები მემარნეები იყვნენ. დიდი ბაბუა ივანე (ნანუა) ჩუბინიძე იმერეთის მეფე სოლომონ II-ის მემკვიდრე ყოფილა. მას ნანუა ვინ და რატომ შეარქვა არავინ იცის, მაგრამ რადგან ღვინის საქმეს ემსახურებოდა და ვინაიდან ღვინოს ჩვენში მოფერებით ნუნუას ეძახიან, სავარაუდოდ, მისი სახელიც აქედან უნდა მოდიოდეს. ნანუა მემარნე მეფის კარზე მიღებული კაცი და გამოჩენილი პიროვნება გახლდათ. იმერეთის სამეფო კარზე ბეჭედი ჰქონდა ჩაბარებული. ის ბეჭედი გასული საუკუნის 60-იან წლებამდე იყო შემორჩენილი და მერე სადღაც გაქრა. დაიკარგა ერთი სიტყვით. ამ ბეჭედს შესაბამისი დოკუმენტაციისათვის იყენებდნენ და სპეციალურ ზარდახშაში ინახებოდა. ვცდილობ მივაგნო და მოვიძიო.

ჩემი დიდი წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად ღვინოს, რომლებსაც ვაყენებ და სარეალიზაციოდ ვუშვებ „ნანუა“ დავარქვი.

„ნანუა“ მოსწონთ მომხმარებლებს, იგი უკვე დააგემოვნეს ღვინის მომხმარებლებმა, არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთაც, მათ შორის ინგლისში, იაპონიაში...

თერჯოლას მევენახეობის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, ჩემი დიდი სურვილია კიდევ უფრო გაუმრავლდეს ქომაგები ვაზის საუკეთესო იმერულ ჯიშებს. ჩემს შვილებს აქედანვე ვაზის სიყვარულით ვზრდი. „ღვინის გზამ“ თერჯოლაში ფართოდ უნდა გაიაროსო, დასძინა ბოლოს.

**ი. ერაძე**

# გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება—„ექიმის ჩანთა“

***საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამამ, პირველადი ჯანდაცვის ამოქმედებამ, სხვადასხვა სოციალურმა პროგრამებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რამდენიმე წელია მოქმედებს ეს პროგრამები და არანაკლებ მნიშვნელოვანია თანადაფინანსებაც.***

***სამედიცინო დახმარებაზე მნიშვნელოვანი არაფერია, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი სოფლებში ამბულატორიების სახით გამართულად მუშაობს, თუ ამბულატორიის ექიმი და ექთანი მაღალი პასუხისმგებლობით აკეთებენ საქმეს.***

***მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 22 ოჯახის ექიმი და 23 ექთანი უწევს მომსახურებას. ყველა მათგანი სერთიფიცირებულია, სხვადასხვა დროს ამაღლებული აქვთ კვალიფიკაცია.***

***ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია სოფლების ამბულატორიების მუშაობის თაობაზე, ვიცოდეთ ვის ხელშია პირველადი ჯანდაცვა.***

## პირველი სტუმარი—იამზე ჟორჟოლიანი—ზედა სიმონეთის ამბულატორიის გამგე

ოჯახის ექიმი, თბილისის სახელმწიფო სამედიდიცნო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქ. მოსკოვში გაიარა სპეციალიზაცია. მიღებული აქვს სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, ზედა სიმონეთში მუშაობს 1990 წლიდან.

* * *

„ზედა სიმონეთის საექიმო ამბულატორიაში სამედიცინო საქმიანობა ხორციელდება გარემონტებულ, სათანადო აღჭურვილობით დაკომპლექტებულ შენობაში „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ამბულატორიის სამედიცინო მომსახურეობა ითვალისწინებს დაავადებების ადრეულ სტადიაში გამოვლენას—სკრინინგის პროგრამების—წარმატებული განხორციელების გზით, პაციენტების გადაუდებელ დახმარებას—ვაქცინაციას, ბავშვთა პატრონაჟს, ქრონიკული ავადმყოფების, მოძრაობა შეზღუდული პაციენტების, ონკოლოგიური პაციენტების ბინაზე მომსახურებას, სამამულო ომის ვეტერანების, სამხედრო ძალების ვეტერანების მეთვალყურეობას.

კოვიდპანდემიის გამო დიდი დატვირთვით—განუსაზღვრელი სამუშაო საათებით ვეწეოდით სამედიცინო მომსახურებას პაციენტებზე—უმთავრესად სატელეფონო კომუნიკაციით. ავადმყოფთა უმრავლესობა განიკურნა ბინაზე, რამდენიმე ავადმყოფს დაჭირდა სტაციონარული მომსახურება.

მეამაყება, რომ ზედა სიმონეთის საექიმო ამბულატორიაში მუშაობდნენ წლების განმავლობაში ღვაწლმოსილი ექიმი ბატონი გრიშა კირკიტაძე, სამამულო ომის ვეტერანი, ექიმი ელიკო ტარტარაშვილი, მედდა იულია სულამანიძე 45 წლის განმავლობაში, მაყვალა აბესაძე, გოგოცა კავაძე, ჟუჟუნა ქარქაშაძე, შურა ბრეგაძე, დარიკო გოგბერაშვილი, ირინა კეკენაძე, ოლია დიაკონიძე.

ამჟამად მედდის თანამდებობაზე მუშაობს ლელა გიორგაძე, 1985 წლიდან, დიდი გულისხმიერებით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ამბულატორია გარემონტდა 2019 წელს. დიდ მადლობას ვუხდი რაიონის მუნიციპალიტეტის მერიას, რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, მერის წარმომადგენელს სოფ. ზედა სიმონეთში ბატონ ზვიად ბაზაძეს, სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს გიორგი ქასრაშვილს თანადგომისათვის და გამოჩენილი გულისხმიერებისათვის, რომელიც დღესაც გრძელდება.

ექიმისათვის ყველაზე დიდი ჯილდოა პაციენტების მადლიერება. ამ მხრივ ნამდვილად ბედს არ ვემდური“.

***უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პირველადი ჯანდაცვის გაუმჯობესებისათვის. ამბულატორიებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, აშენდა რამდენიმე ახალი შენობა, აღჭურვილნი არიან სათანადო სამედიცინო ინვენტარით, გადაუდებელი სამედიცინო ამბულატორიული მომსახურებისათვის საჭირო მედიკამენტებით, მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრია, კვლავაც უნდა გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვა, მედიკამენტებზე წვდომა და მოსახლეობის მომსახურების კულტურა.***

**ჟუჟუნა ცხადაძე**

6 ☜

## ზურაბ ნემსაძის სახელობის თასზე...

კითის „ნორჩ იუნკერებს“ გაუღიმათ, მათ შესაბამისად 1:0 და 4:2 დაამარცხეს ტყიბულის „ოკრიბისა“ და მაღლაკის თანატოლები.

დასასრულ მოეწყო დაჯილდოების ცერემონიალი. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ—ზურაბ ნემსაძის სახელობის თასი და შესაბამისი ხარისხის სიგელები.

ღონისძიების მოწყობასა და ორგანიზებულად ჩატარებაში ჩართულნი იყვნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (გურამ თურქაძე), თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი (ირაკლი ჩხეიძე), მწვრთნელები, ყოფილი ფეხბურთელები: დიმა არეშიძე, რამაზ გურაბანიძე, ტრისტან ლილუაშვილი, დავით ახვლედიანი, თამაზ ოდიკაძე, მალხაზ ახვლედიანი, ელგუჯა არეშეიძე, მამუკა ფორჩხიძე.

მომავალ შეხვედრამდე.

# „ბორჯღალოსნების“ მორიგი წარმატება!

***ერთგვარი ამბიციითა და მოტივაციითაა მოსილი ეს სამი სიტყვა. რატომაც არა, ჩვენმა ბიჭებმა 28 მარტს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დამაჯერებელი ანგარიშით (28:17) მოუგეს მატჩი რუმინეთის ნაკრებს და მე-14-ედ დაეუფლნენ „ანთიმოზ ივერიელის“ თასს.***

***ვულოცავთ და მორიგ წარმატებებს ვუსურვებთ!***

***ამასთან დაკავშირებით კი გვინდა მკითხველს (უპირველესად—რაგბის მოყვარულთ) მოვუთხროთ ცოტა რამ ამ მართლაც საინტერესო და ვაჟკაცურ სპორტზე.***

ბრიტანელები მიიჩნევენ, რომ, რაგბიც (ფეხბურთივით) „მათია“...

მაგრამ!

მაგრამ, ის, რომ საქართველოს, როგორც „ლელობურთის“ მშობლიურ ქვეყანას უნდა ჰქონდეს სწორედაც იმის პრეტენზია, რომ რაგბი ჩვენი თამაშია!

რეალობა სახეზეა. უძველესი ქართული ხალხური თამაშობა „ლელობურთი“ და თანამედროვე რაგბი ტყუპი ძმებივით გვანან ერთმანეთს. შეიძლება ეს მთლად დამაჯერებელი არგუმენტი არ იყოს, მაგრამ, რაგბი რომ ჩვენი თამაშია, ამის თქმის უფლებას „ბორჯღალოსნები“ ნამდვილად ასაბუთებენ...

მას შემდეგ, რაც ქართულმა ფეხბურთმა თავისი ელვარება რამდენადმე გააუფერულა (გვჯერა, ეს დროებითი მოვლენაა), ჩვენი რაგბისტები ცდილობენ და წარმატებითაც, რომ ქართული სპორტის იმიჯი საერთაშორისო არენაზე ღირსეულად წარმოაჩინონ.

ამას ისიც უწყობს ხელს, რომ თანამედროვე რაგბის წინაპარი და „სისხლის ნათესავი“ ჩვენებური „ლელობურთი“ გახლავთ. ამ თამაშს ძველ საქართველოში სახალხო სპორტის სახე ჰქონდა. ორ მოწინააღმდეგე გუნდს შორის, რომლებიც სხვადასხვა უბნის, ან სოფლის მცხოვრებნი წარმოადგენდნენ, ერთგული გულშემატკივრები ამხნევებდნენ, წესრიგს კი მსაჯები (მხცოვანი ადამიანები) იცავდნენ. თამაშის არსი, ისე, როგორც დღევანდელ რაგბში, იყო ბურთის გატანა მოწინააღმდეგის ლელოში, ანუ—ლელოს დადება. გუნდში ყველამ თავისი მოვალეობა იცოდა: ერთი მღლეტელი იყო, მეორე—გამქცევი, მესამე გზის ამრევი, სხვანი—გაქცევის დამცველი ანუ გზადაგზა დამალული შემცვლელები (მარქაფათ შემონახული მოთამაშეები)...

წესები არა დაწერილი, მაგრამ მკაცრად განსაზღვრული იყო, ამიტომ არის, რომ ქართველებს რაგბი სულაც არ მიაჩნიათ უცხოურ თამაშად. ფაქტი სახეზეა—ლელობურთს თავისი სტრუქტურით და შინარსით აშკარად აქვს უფლება იწოდებოდეს თანამედროვე რაგბის მშობელად.

რა თქმა უნდა, ქართული ლელობურთისაგან განსხვავებით, თანამედროვე რაგბის წესები უფრო მკაცრი და დახვეწილია. თანაც მასში თითქმის ყოველწლიურად ახალ-ახალი ცვლილებებიც შედის.

დასამალი არ არის, რომ მაყურებელთა გარკვეული ნაწილი სრულყოფილად ვერ ერკვევა რაგბის რთულ წესებში, ამიტომ მათ დასახმარებლად მოვიძიეთ და ვაწვდით წინამდებარე ცნობარს:

რაგბის გუნდში 15 ძირითადი მოთამაშეა, შვიდი სათადარიგო. მატჩის ხანგრძლივობა 40 წუთიანი ტაიმია.

თამაშს იწყებს ის გუნდი, რომელმაც კენჭისყრაში გაიმარჯვა, მაგრამ იღბლიანმა კაპიტანმა თამაშის დაწყებას მოედნის სასურველი მხარის არჩევა ამჯობინა. ბურთს ურტყამენ შუა ხაზიდან. დამრტყმელის მთელი გუნდი ბურთზე უკან უნდა იყოს. მეტოქე გუნდი კი—10 მეტრ ხაზზე ან მის უკან.

თამაშის მთავარი პრინციპია—ბურთი ხელთ იგდო და მეტოქის ლელოსკენ გაიქცე. ბურთი მოთამაშემ მხოლოდ უკან მდგომ პარტნიორს უნდა მიაწოდოს, რადგან წინ მდგომი ყველა თანაგუნდელი თამაშგარეა.

ბურთის წინ გადაწოდება ისჯება საჯარიმო დარტყმით. მოწინააღმდეგეს შეუძლია ბურთიანი მეტოქის შებოჭვა და მიწაზე წაქცევა.

რაქი თამაშის ის მომენტია, როცა ორივე გუნდის თითო ან მეტი მოთამაშე, მიწაზე დავარდნილი ბურთის გამო, ერთმანეთს ზეზეულად შეეჭიდება. მოთამაშე ამ დროს ფეხით ცდილობს ბურთის მოპოვებას.

მოლი გაიმართება თუ ბურთთან მოთამაშეს ერთი ან მეტი მეტოქე დაიჭერს და მას ერთი ან რამდენიმე თანაგუნდელი მიეშველება, ყველა ეს მოთამაშე ფეხზე უნდა იდგეს.

თამაშის დროს ბურთაობის განახლება რამდენიმე ხერხით შეიძლება.

აუტიდან თამაშის განახლება ხდება სწრაფად შემოგდებით ან დერეფნის მეშვეობით. მეტოქე გუნდების დერეფნის მოთამაშეები ეწყობიან ერთმაგ, პარალელურ, აუტის ხაზისადმი მწყობრად. აუტიდან მოწოდებული ბურთის მოსაპოვებლად დერეფნის ერთ-ერთი მონაწილე ჰაერში ხტება. დანარჩენები კი ხელს აშველებენ.

შერკინების დანიშნულებაა თამაშის დროულად განახლება. შერკინებისას თითო გუნდიდან რვა მოთამაშე დგება, ერთმანეთს ხელს გადახვევენ და სამ ხაზად დაეწყობიან. იქმნება გვირაბი, 9 ნომერი ისე შეაგდებს ბურთს, რომ წინა ხაზის მოთამაშეებმა მის დასაუფლებლად ფეხით იბრძოლონ.

თავისუფალი და საჯარიმო დარტყმები ინიშნება მართალი გუნდის სასარგებლოდ. მეტოქის მიერ წესის დარღვევის გამო, ინიშნება დარღვევის ადგილზე, სრულდება ნებისმიერი ხერხით: ხელით არეკნით ან მიწიდან ფეხის დარტყმით (არეკნით დარტყმისას ბურთს ხელით ძირს დააგდებენ და პირველი არეკნისთანავე დაარტყამენ ფეხს). როცა შემტევი მოთამაშე პირველი დაამიწებს ბურთს მეტოქის ლელოში, ითვლება ლელო. ამის შემდეგ გუნდს უფლება ეძლევა კარში დარტყმით გოლიც გაიტანოს. ამ დარტყმას გარდასახვა ეწოდება. იგი სრულდება მიწიდან დარტყმით, ან არეკნით და გოლი ჩაითვლება, თუ ბურთი მეტოქის კარის ძელებს შორის და ხარიხის ზემოთ გაივლის.

თუ დარტყმის შემდეგ ბურთი შეეხო მიწას ან დამრტყმელის გუნდელს—გოლი არ ჩაითვლება.

თუ ბურთი ხარიხას გადასცდება, მაგრამ შემდეგ მას ქარი უკან, მოედნისაკენ წამოიღებს გოლი მაინც ჩაითვლება.

თუ კარში დარტყმის დროს მეტოქე ბურთს უწესოდ შეეხება და ბურთი კარში გავა, მსაჯს შეუძლია გოლი ჩათვალოს, თუკი ფიქრობს, რომ დარღვევის გარეშეც გოლი გავიდოდა.

ლელო 5 ქულად ფასობს თუ გუნდმა გარდასახვაც გაიტანა კიდევ ორ ქულას მიიღებს.

სულ ეს არის რაგბის ანა-ბანა: უფრო სიღრმისეულად კი, თანდათანობით გავერკვევით თუ ყურადღებით მივადევნებთ თვალს სარაგბო მატჩებს.

აქვე, მნიშვნელოვანი დეტალი: კორონას პანდემიის ფაქტორის მიუხედავად, სტადიონზე მრავალი გულშემატკივარი ქომაგობდა თავის გუნდს. მათ უთუოდ დიდი წილი დადეს გამარჯვებაში.

ტრადიციულად მოეწყო ანთიმოზ ივერიელის თასის საზეიმოდ გადაცემის ცერემონიალი.

---

**ახლა ცოტა რამ ანთიმოზ ივერიელის შესახებ: ერისკაცობაში ანდრია (1650-1716 წწ) რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი, მესტამბე, მწერალი, მხატვარი, ვლახეთის მიტროპოლიტი.**

**ოსმალეთში გაუტაცნიათ საქართველოდან. სტამბოლში ტყვეობიდან გამოუსყიდია იერუსალიმის პატრიარქს. მის კარზეევე მიუღია განათლება. იცოდა რამდენიმე ევროპული და აღმოსავლური ენა.**

**მან მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა რუმინული ეროვნული კულტურის აღორძინებას. დიდი წვლილი შეიტანა რუმინული სალიტერატურო ენის განვითარებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეში. მის მიერ დაარსებულ სტამბებში, მისივე ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა წიგნები რუმინულ, ბერძნულ, აგრეთვე ძველ სლავურ და არაბულ ენებზე. მის სახელთანაა დაკავშირებული რუმინეთის ღვთისმსახურებაში რუმინული ენის დამკვიდრება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქვეყნის სასულიერო და საერო მწერლობის განვითარებისათვის.**

**ანთიმოზ ივერიელს ეკუთვნის რამდენიმე ორიგინალური თხზულება. მ. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქადაგებანი“. ის ილუსტრაციებითა და ორნამენტებით ამკობდა მის მიერ გამოცემულ წიგნებს. მან მოაჩუქურთმა ბუქარესტში აგებული მონასტრის („ანთიმოზის მონასტერი“) მთავარი კარი და სარკმლები, რომელთა ორნამენტში ქართული სტილი შერწყმულია რუმინულთან და დღესაც ითვლება ხეზე ჭრის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად.**

**ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის წყალობით რუმინეთი XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე გადაიქცა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად.**

**1709 წელს ანთიმოზ ივერიელის სახელთან არის დაკავშირებული თბილისში პირველი სტამბის დაარსება.**

**ანთიმოზ ივერიელი სათავეში ედგა ანტიოსმალურ პატრიოტულ -განმათავისუფლებელ მოძრაობას. თავის „ქადაგებებში“ გაბედულად ამხელდა ბოიარების უზნეობას. მოუწოდებდა ხალხს ოსმალების წინააღმდეგ. ამის გამო უთანხმოება მოუვიდა რუმინეთის მთავართან. იგი შეიპყრეს, აჰყარეს სასულიერო ღირსება და მიუსაჯეს სამუდამო გაძევება სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში. თანმხლებმა იანიჩარებმა გზაში მოკლეს და მისი გვამი მდინარეში ჩააგდეს.**

**მიგვაჩნია, რომ დიდი ქართველი მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის შესახებ ინფორმაციას უნდა ფლობდეს ჩვენი მკითხველი, მ. შ. მოსწავლე-ახალგაზრდობა.**

**წინამდებარე სტატია გარკვეულწილად ამ ამოცანასაც ისახავს მიზნად.**

**გვერდის ავტორი ნუგზარ გამყრელიძე**

# წინასააღდგომო დღეები — ვნების კვირა

*წინასააღდგომო დღეებიდან განსაკუთრებით გამორჩეული, მძიმე და თავისებურია ვნების კვირის დღეები. ვნების შვიდეულის შაბათ დღეს კი, განსხვავებით წლის დანარჩენი შაბათებისგან, აუცილებელია მკაცრი მარხვა შევინახოთ.-0:01*

*წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ვნების შვიდეულის დღეებით იკურთხება მთელი წლის დღეები. დიდი ორშაბათით იკურთხება მთელი წლის ორშაბათი დღეები, დიდი სამშაბათით—სამშაბათები და ასე შემდეგ. ამიტომაც მნიშვნელოვანია, როგორ გავატარებთ ამ დღეებს.*

## დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო ლეღვის გახმობას იხსენებს. ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა—იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა, ამიტომაც ამხილა და დაგმო ისინი. უნაყოფო ლეღვი ასევე იმ ქრისტიანთა სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. **ეკლესიაც დიდ ორშაბათს სინანულისკენ მოგვიწოდებს.**

ლიტურგიაზე წასაკითხი სახარებით წმინდა ეკლესია ღვთისაგან განდგომილი იუდეველების ბედსა და იესო ქრისტეს მიერ აღწერილ სამყაროს აღსასრულს გვახსენებს. დიდ და მრავალრიცხოვან განსაცდელთა, იერუსალიმის დანგრევისა და სამყაროს აღსასრულის ნიშნების აღწერით **ეკლესია მორწმუნეებს ამქვეყნიურ ბოროტებაზე ამაღლებისკენ, სულგრძელობისკენ, სიმშვიდისკენ, მოთმინებისკენ, ლოცვისა და სულიერი სიფხიზლისკენ მოუწოდებს.**

## დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა **ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისკენ, განსაკუთრებით კი—მოწყალებისკენ.**

## დიდი ოთხშაბათი

ეს იუდას მიერ ქრისტეს გაცემის დღეა. ოთხშაბათი ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ

დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესოს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც, როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფვლელად მოამზადა.

აქვე, დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. **ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, იუდას ვერცხლისმოყვარეობასა და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.**

## დიდი ხუთშაბათი

იერუსალიმში შესვლიდან მეოთხე დღეს იესომ თორმეტივე მოწაფე შეკრიბა და უკანასკნელად დამოძღვრა: „ნუ იქნება თქვენს შორის ცილობა, ვინ უფრო დიდია, არამედ უდიდესი იყოს, როგორც უმცირესი და წინამძღვარი—როგორც მსახური... მე ვარ თქვენ შორის, როგორც მსახური, თქვენ კი ხართ ჩემს განსაცდელში—ჩემ გვერდით მყოფნი“. შემდეგ ჩაასხა საბანელში წყალი და დაიწყო მოწაფეთათვის ფეხების ბანა: „ხოლო თუ მე, მოძღვარმა და უფალმა,—ამბობს იგი,—დაგბანეთ ფეხები, თქვენც ასევე უნდა ბანდეთ ერთმანეთს ფეხებს, ვინაიდან მაგალითი მოგეცით და ნეტარია, ვინც აღასრულებს ამას“. მაგრამ ყველა არ მოინდომებს ამ ნეტარებასა და ღვთის სიყვარულში წილის დადებას... „ერთი თქვენგანი გამცემს მე“,—იტყვის უფალი. იუდა დაუნანებლად ტოვებს სეროობას, გაურბის მხილებას, ტოვებს ღმერთს და უღმერთო ხდება.

**მათთვის, ვინც საკუთარ თავზე მეტად შეიყვარა იგი, როგორც მაცხოვარი, როგორც აღდგომის ნელსაცხებელი სურნელი, ამ მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფვლელად მოამზადა.**

**მაცხოვარმა ბრძანა, ერთმანეთი... როგორც მე შეგიყვარეთ, ასევე გიყვარდეთ ერთმანეთი“, ამბობს უფალი.**

დიდი ხუთშაბათი ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება (ეს მირონი მღვდელმსახურებაში მირონცხების საიდუმლოს შესრულებისას და ტაძრის კურთხევისას გამოიყენება). „დიდი ხუთშაბათი“, ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სრულდება სადღესასწაულო წირვა.

## დიდი პარასკევი

**დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს.** დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ეძღვნება და შუადღისას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი—„საფლავი“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, დააბრძანებენ გარდამოხსნას—მოხატულ ქსოვილს, რომელზეც საფლავში მყოფი მაცხოვარია ამოქარგული.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება—მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

**დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მხოლოდ პურსა და წყალს იხმევს.**

**ძველი ტრადიციის თანახმად, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი, სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ნებისმიერ სხვა ფერისას ქრისტიანულ ტრადიციასთან არაფერი აქვს საერთო.**

## დიდი შაბათი

**დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება.** ცისკარზე მღვდელთმსახურები „წმინდაო ღმერთოს“ გალობით გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიიტანენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლად იმყოფება მამა ღმერთთან და თავისი ვნებითა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი.

მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურებს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნასთან.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის.

ღამის თერთმეტ საათამდე აღესრულება შუაღამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდელოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კარით უხმოდ გადაასვენებს გარდამოხსნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დაყო ამქვეყნად.

**ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან.“**

## ჯეჯილი, პასკა და წითელი კვერცხი...

ჯეჯილი, პასკა და წითელი კვერცხი ეს ის სამეულია, რომლის გარეშეც აღდგომა წარმოუდგენელია...

ბზობის წინა დღეს, ლაზარეს შაბათს, ძველი ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, მორწმუნეები ხორბალს თესავენ. აბიბინებულ ჯეჯილში წითლად შეღებილ კვერცხებს დებენ და ასე ეგებებიან აღდგომას. მწვანე ჯეჯილი—ახალი ცხოვრების, ხოლო მასზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოდ ითვლება. ჯეჯილი ხორბლის დათესვით მიიღება, რომელიც პურისა და ასევე ქრისტეს ხორცის სიმბოლოა.

როდის და როგორ დავთესოთ სააღდგომო ჯეჯილი?

ჯეჯილის დასათესად ნებისმიერი ფორმის ჭურჭლის გამოყენება შეიძლება, ეს თქვენ გემოვნებაზე და ფანტაზიაზეა დამოკიდებული.



იმისათვის რომ ჯეჯილი კარგად გაღვივდეს, ის გარეცხეთ თბილ წყალში და მთელი ღამე დატოვეთ წყალში. დილით გადაწურეთ წყალი და თქვენს სასურველ ჭურჭელზე ჯერ მოათავსეთ ბამბა ან სუფთა მიწა და შემდეგ მოაყარეთ გაღვივებული ჯეჯილი..

მოათავსეთ თქვენი ჯეჯილი ისეთ ადგილას, სადაც მზე გაანებივრებს, თბილი სხივებით ნიადაგი რომ არ გამოუშრეს, ყოველ დილით დანამეთ წყლით...


შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან ბოგბიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872